



## აქტიური მოქალაქე აძლიერებს საზოგადოებას

### ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამის საინფორმაციო ბიულეტენი

გამოცემა მესამე  
თებერვალი - აპრილი, 2017

ახალგაზრდული იდეის წევრები გარემოსდაცვით კვირეულს საქართველოს 20 მუნიციპალიტეტში 30-ზე მეტი გარემოსდაცვითი ინიციატივის განხორციელებით შეუერთდნენ. ამას წინ უძღვოდა ევროპის ფონდის მიერ, ორგანიზაციასთან – „ეკოხედვა“ – თანამშრომლობით ჩატარებული სამდღიანი ტრენინგი, რომელსაც პროგრამის **120-ზე** მეტი მონაწილე დაესწრო. ტრენინგის მეშვეობით, ახალგაზრდებმა შეიძინეს ცოდნა ისეთ გარემოსდაცვით საკითხებზე, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ჰაერის დაბინძურება, ენერგოეფექტურობა, ბიომრავალფეროვნება და ა.შ.



„*სანამ გარემოსდაცვით ტრენინგს დავესწრებოდი, ვიცოდი, რომ გარემოს დაცვა საჭიროა, მაგრამ არ მქონდა გააზრებული, რა გველის მისდამი უყურადღებობის შემთხვევაში. იმასაც მივხვდი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცნობიერების ამაღლებას ამ საკითხზე. როდესაც ტრენინგის შემდეგ სკოლაში დავბრუნდი, დავინახე როგორ წვავდნენ ფოთლებს სკოლის ეზოში და გავაპროტესტე. საბედნიეროდ, დირექტორისგან მივიღე პირობა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა. ამ შემთხვევამ სხვა მოსწავლეებშიც აამაღლა მოტივაცია, რადგან მათაც დაინახეს, თუ რა შედეგი გამოიღო ხმის ამოდებამ და დარწმუნებული ვარ, მომავალში თავადაც აიმაღლებენ ხმას მსგავს შემთხვევებში, რაც ჩვენი გარემოს გაუმჯობესებაში დაგვეხმარება.*“

რატი ტოკლიკიშვილი  
დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის წევრი

ახალგაზრდების მიერ განხორციელებულ მოხალისეობრივ ინიციატივებს შორის იყო გარემოსდაცვითი ტრენინგები თანატოლებისა და თემის სხვა წევრებისათვის, დასუფთავების აქციები ადგილობრივი მოხალისეების მონაწილეობით, კომპოსტების მომზადება, ფილმის ჩვენებები და დისკუსიები, ფლაერების მომზადება გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე და მათი გავრცელება თემში.

„*როდესაც გადავწყვიტე, ჩემს სკოლაში ტრენინგი ჩამეტარებინა გარემოს დაცვაზე, ძალიან ვნერვიულობდი, ამხელა პასუხისმგებლობას საკუთრ თავზე რომ ვიღებდი. მე ხომ ეს საკითხი ისე უნდა წარმედგინა დაინტერესებული პირებისთვის, რომ კარგად გაეგოთ და გაეაზრებინათ რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოზე ბრუნვა. როდესაც ჩემი გამოცდილების მათთვის გაზიარება დავინწყე, ტრენინგის მონაწილეებმა იმხელა ინ-*



ტერესი და ენთუზიაზმი გამოავლინეს, მივხვდი, ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებდა. ამ ტრენინგების შემდეგ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა ჩემს თემში. თუკი აქამდე ჩემს ირგვლივ მცხოვრებნი ნარჩენებსა და ნაგავს ერთად ყრიდნენ სანაგვე ურნებში, ხის ფოთლებსა და გამხმარ ტოტებს კი წვავდნენ, ახლა ისინი ამ ყველაფერს კომპოსტის დასამზადებლად იყენებენ. “

შორენა შაინიძე  
ბოლნისის ახალგაზრდული იდეის წევრი

ახალგაზრდული იდეის წევრებმა, ასევე, ჩამოაყალიბეს ეკო-კლუბები საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში და ეხმარებიან დაინტერესებულ ახალგაზრდებს, მსგავსი პრაქტიკა დანერგონ თავიანთ თემებში. ახალგაზრდული იდეის წევრებმა, ამ და სხვა გარემოსდაცვითი ინიციატივებით, შეძლეს, თემის **385-ზე** მეტი წევრის მობილიზება.

“ როდესაც, ტრენინგის შემდეგ, კომიტეტის წევრებმა ეკო-კლუბის ჩამოყალიბებაზე დავინწყეთ ფიქრი, ვხვდებოდით, რომ ეს სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. არ ვიცოდით, შევძლებდით თუ არა ახალგაზრდების დაინტერესებას, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებულები ვიყავით - ერთიანი ძალებით ყველაფერი გამოგვივიდოდა. ეკო-კლუბის ჩამოსაყალიბებლად გამოსცხადებულ კონკურსში **83** დაინტერესებული ახალგაზრდის აპლიკაცია რომ შემოვიდა, მივხვდით, არიან ჩვენი ნაირი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ საკუთარი ქალაქის ეკოლოგიურ პრობლემებზე. არასოდეს დამავინწყდება ჩვენი შეხვედრისას მათი მონდომებული თვალები. სწორედ მაშინ მივხვდი, თუ რა სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც აცნობიერებ, რომ პიროვნულად განვითარდი და შეგიძლია სხვებსაც დაეხმარო განვითარდნენ. “



შაკო ლაშხია  
ფოთის ახალგაზრდული იდეის წევრი

ამასთანავე, წარმატებით მიმდინარეობს ახალგაზრდული იდეის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული **100-ზე** მეტი პროექტის მონიტორინგიც. პროექტების განხორციელება 2017 წლის თებერვალში დაიწყო და ივნისი - ივლისის პერიოდში დასრულდება. საგრანტო ციკლის წარმატებით დაწყების აღსანიშნავად და დაფინანსებული პროექტების საზოგადოებისათვის გასაცნობად, ამავე პერიოდში, ახალგაზრდული იდეის წევრებმა ჩაატარეს მცირე გრანტების გადაცემის ღონისძიებები, რომელსაც, თითოეულ მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდებთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების, საგანმანათლებლო რესურს ცენტრების, მედიისა და სკოლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ახალგაზრდული იდეის წევრების მიერ, თანატოლებისთვის დაფინანსებული ინიციატივები ეხება ისეთ თემებს, როგორცაა გარემოს დაცვა, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ადამიანის უფლებები და ა.შ.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

### ევროპის ფონდი

კავსადის ქუჩა # 3, თბილისი 0179, საქართველო  
ტელ.: (+995 32) 225 39 42  
ელ-ფოსტა: info@epfound.ge

ან მოგვძებნეთ Facebook-ზე:

